პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 218 (4728)

1972 წ. 2 ნოემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## სპორტის ოსტატთა რიგები ივსება

ამ დღეებში ალმა-ათასა და ბაქოში გამართული შეჯიბრებების შემდეგ საქართველოს სპორტის ოსტატთა რიგებს სამი კაცი შეემატა. ალმა-ათაში ჩატარდა იუნიორთა საკავშირო ტურნირი სასტენდო სროლაში. შეჯიბრებაში სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების კოლექტივები მონაწილეობდნენ.

ქუთაისელმა ჭაბუკმა გ. შენგელიამ, რომელიც თბილისის არმიელთა სპორტკლუბის გუნდის ინტერესებს იცავდა, მრგვალ სტენდზე სროლაში 200-დან 192 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატობა მოიპოვა. გაიმარჯვა მოსკოვის დინამოელმა ნ. სემიონოვმა — 195. კაუნასის დინამოელმა ქ. იაშინსკასმა, ისევე როგორც შენგელიამ, 192 ქულა მოაგროვა. მათ შორის დამატებითი სერია მოეწყო. იაშინსკასმა 25 სამიზნე გატეხა, შენგელიამ — 24, ამიტომ კაუნასელს II ადგილი მიეკუთვნა.

ბაქოში, სადაც ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშების პროგრამით მძლეოსნები ასპარეზობდნენ, თბილისელმა ი. ბარსლივამ ურო 65,42 მეტრზე ტყორცნა და II ადგილი დაიკავა. მას ზუსტად მეტრით აჯობა გ. ესაიანმა (სომხეთი). ბარსლივა საქართველოში მეორე სპორტის ოსტატი იქნება ამ სახეობაში. აქვე ა. ბერიძემ 20 კილომეტრზე სიარულში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა — 1:32.16,8.

ე. გელაშვილი.

„ლელოს" სადისკუსიო კუთხე

## რა პასუხს გაგვცემთ?

ჩვენი გაზეთის 18 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი აჭარისველოსიპედისტთა შეჯიბრებაზე, რომელსაც ხელს აწერდა მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი მ. კირაკოსიანი. წერილში გაკრიტიკებული იყვნენ „კოლმეურნის" ველოსიპედისტები, რომლებმაც თავი აარიდეს ასპარეზობას.

ამ რამდენიმე დღის წინ რედაქციაში მოვიდა „კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის თ. ბოლქვაძის ახსნა-განმარტება. თ. ბოლქვაძე არ ეთანხმება მთავარი მსაჯის ბრალდებას. აი, რა ირკვევა ამ ახსნა-განმარტებიდან:

საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დებულების თანახმად (ახსნა-განმარტებას თან ერთვის ბეჭედდარტყმული და დამტკიცებული დებულება), ველოსიპედისტთა შეჯიბრება აჭარის კომკავშირის პრიზზე უნდა გამართულიყო 1 ოქტომბერს, 12 საათზე. დანიშნულ დროს „კოლმეურნის" გუნდი გამოცხადდა შეჯიბრების ადგილზე, მაგრამ მ. კირაკოსიანი იქ არ იყო. იგი დაგვიანებით მოვიდა და შეჯიბრებაც ამ მიზეზით ჩაიშალა.

მთავარმა მსაჯმა ასპარეზობა ერთი კვირით გადაიტანა, მაგრამ „კოლმეურნის" სპორტსმენებმა შეჯიბრებაში მონაწილეობა ვეღარ მიიღეს, ვინაიდან 3 ოქტომბერს ნაკრები გუნდი 7 კაცის შემადგენლობით თბილისისკენ გამოემგზავრა: აქ გუნდს საქართველოს საუწყებო სპარტაკიადის წინ წვრთნა ჰქონდა დაგეგმილი. მ. კირაკოსიანმა იცოდა, რომ „კოლმეურნის" ველოსიპედისტები თბილისში მიემგზავრებოდნენ (იგი წინასწარ გაფრთხილებიათ ამის თაობაზე) და მაინც სარბიელზე მათი გამოუსვლელობა მთლიანად საზოგადოების ხელმძღვანელობას გადააბრალა.

როდესაც რაიმე დებულება დგება, მასში წინასწარაა გათვალისწინებული ყველა მომდევნო ღონისძიების გრაფიკი. ამიტომაც აჭარის ველოსიპედისტთა შეჯიბრება დროულად უნდა ჩატარებულიყო ისე, როგორც დადგენილი იყო. მთავარ მსაჯს ხელმძღვანელ ორგანოებთან შეუთანხმებლად, რა თქმა უნდა, უფლება არ ჰქონდა გადაეტანა შეჯიბრების ჩატარების თარიღი. მით უმეტეს, რომ ამის მიზეზი მისივე დაუდევრობა გამოდგა. მაგრამ უფრო მეტი უტაქტობაა, როცა საკუთარ დანაშაულს სხვას აბრალებ.

რა პასუხს გაგვცემს შეჯიბრების მთავარი მსაჯი?



ისინი მუდამ ერთად არიან — ჩვენი ტანვარჯიშის ვარსკვლავები — ნინა დრონოვა და რუსუდან სიხარულიძე. ისინი ერთად არიან მაშინაც, როცა ერთმანეთის წინააღმდეგ გამოდიან. მერე რა მოხდა? სპორტში არც თუ იშვიათად ასეც ხდება. ასპარეზზე მეტოქეობენ უშელავათოდ, თავდავიწყებამდე მისულ ბრძოლებში ებმებიან. მაგრამ საკმარისია შეჯიბრება დამთავრდეს და ისინი ისევ ერთად არიან, ვინაიდან მტკიცე და ურყევი მეგობრობა აკავშირებთ. გულწრფელი მეგობრობის თავი და თავი კი ტანვარჯიში გახლავთ. დიახ, ტანვარჯიში, რომელმაც ისინი მეტოქეები და მეგობრები გახადა. აი, ამაშია სპორტის ფასდაუდებელი მადლი.

ისინი მუდამ ერთად არიან სარბიელზეც და ცხოვრებაშიც. სწორედ ეს მომენტი აღბეჭდა ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა თბილისში ტანმოვარჯიშეთა ამასწინანდელი საერთაშორისო შეჯიბრების დროს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

## ბოლო დღის ორი სენსაცია

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. წყალბურთელთა XXXVI საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღე სენსაციური შედეგებით დამთავრდა: პირველად დამარცხდა ჩემპიონი — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი. მას მოუგო ალმა-ათის „დინამომ" — 2:1.

დამარცხდნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბის წარმომადგენლებიც — ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები. ამასთან, მათაც ერთ-ერთ აუტსაიდერთან — ვოლგოგრადის „სპარტაკთან" წააგეს (3:4). გამარჯვებული გუნდები სამიშ ზონას მოსცილდნენ.

უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა მოსკოვის „ტორპედო", რომელმაც წააგო ლენინგრადის „ბალტიკასთან" — 2:3.

პრიზიორებიდან იმარჯვა მხოლოდ მოსკოვის „დინამომ", რომელმაც დაამარცხა კიეველი თანაკლუბელები — 5:4.

თბილისის „დინამოსა" და კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდის (ბაქო) შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 5:5.

საგაისოდ უმაღლეს ლიგაში მოსკოვის „ტორპედოს" ნაცვლად ლვოვის „დინამო" ითამაშებს.

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვის უნივერსიტეტი | 18 | 15 | 2 | 1 | 95—61 | 32 |
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი | 18 | 12 | 2 | 4 | 85—68 | 26 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 9 | 5 | 4 | 78—70 | 23 |
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 5 | 6 | 7 | 83—85 | 16 |
| კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) | 18 | 4 | 7 | 7 | 69—74 | 15 |
| „დინამო" (კიევი) | 18 | 6 | 3 | 9 | 73—80 | 15 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 18 | 4 | 7 | 7 | 68—79 | 15 |
| „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) | 18 | 5 | 3 | 10 | 72—81 | 13 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 18 | 5 | 3 | 10 | 59—69 | 13 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 18 | 3 | 6 | 9 | 58—73 | 12 |

[illegible] 19$^{45}$

◆ დუშანბე, 1 ნოემბერი. ველოსპორტში სსრ კავშირის თასის გათამაშების პროგრამის ბოლო სახეობაში — 140 კილომეტრზე ჯგუფურ საგზატკეცილო რბოლაში ყველას აჯობა ლიტველმა ჟ. პაშკაუსკასმა — 3:21.28. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ჩემპიონთა ოქროს მედლები ინდივიდუალურ რბოლებში ხვდათ: 25 კილომეტრზე — კრასნოდარელ ნ. იუდაკოვას, 50 კილომეტრზე — ტაშკენტელ ვ. გრაჟდანკინს. ვერცხლის მედლები გადაეცათ ხარკოველ ლ. ზალოროჟნაიასა და მოსკოველ ე. ბორისიკოვს, ხოლო ბრინჯაოსი — რიგელ ბ. ცაუნესა და ომსკელ ი. სკოსირევს. სსრ კავშირის თასები რსფსრ-ს ქალთა და ვაჟთა გუნდებმა დაიმსახურეს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

## ერთი ტურით ადრე...




ტაშკენტი, 1 ნოემბერი (ჩვენი სპეც. კორ.). ისევე როგორც წყალბურთელთა ასპარეზობაში, ხელბურთელთა პირველობაშიც შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ჩემპიონი უკვე ცნობილი იყო. ეს წოდება მოიხვეჭეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებმა: მათ სძლიეს თანაქალაქელ არმიელებს (20:19) და მიუწვდომელი გახდნენ დანარჩენი მეტოქეებისთვის.

სამწუხაროდ, ასევე ერთი ტურით ადრე ცნობილი გახდა, რომ თბილისის „ბურევესტნიკი" უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობება, ვინაიდან ჩვენებმა კრასნოდარის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან წააგეს (12:13) და დღევანდელ მატჩს ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან" უკვე აღარ შეუძლია მათს სატურნირო მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა.

მოსკოვის „კუნცევომ" მოუგო ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდს — 13:7.

ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის" მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა: მეტოქეებმა აქტივში თითო ქულა ჩაიწერეს. შეხვედრის ანგარიშია 10:10.

ჯ. ენუქიძე.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტ. (მოსკოვი) | 13 | 10 | 1 | 2 | 230—187 | 21 |
| მეტალურგ. ინსტ. (ზაპ.) | 13 | 9 | 0 | 4 | 152—132 | 18 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 13 | 7 | 4 | 2 | 188—172 | 18 |
| უნივერსიტეტი (კრასნოდ.) | 13 | 5 | 4 | 4 | 186—185 | 14 |
| ცსკა | 13 | 4 | 3 | 6 | 204—209 | 11 |
| „ალუმინსტროი" (ზაპ.) | 13 | 3 | 2 | 8 | 166—200 | 8 |
| ფიზკ. ინსტ. (ტაშკენტი) | 13 | 2 | 3 | 8 | 199—222 | 7 |
| „ბურევესტნიკი" (თბ.) | 13 | 2 | 1 | 10 | 166—194 | 5 |

## კინომარათონი დამთავრდა

ოდესა, 30 ოქტომბერი. დამთავრდა სპორტული ფილმების IV საკავშირო ფესტივალი. ნაჩვენები იყო 80-ზე მეტი დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო, მულტიპლიკაციური, სატელევიზიო, მხატვრული ფილმი და კინოჟურნალი.

დოკუმენტური ფილმ-ნარკვევების განყოფილებაში ოქროს მედალი გაიყვეს კინოფილმებმა „სად არის „დედოფლის" ოქრო?" (ლიტვის სტუდია) და „ეს სპორტია" (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია). საუკეთესო სურათი-რეპორტაჟი წარმოადგინა კუიბიშევის კინოქრონიკის სტუდიამ — „ეს პატარა ბურთი".

საუკეთესო სატელევიზიო ფილმად აღიარეს გაერთიანება „ეკრანის" ნამუშევარი „ეს საოცარი სპორტი". სამეცნიერო-პოპულარულ ფილმებში ვერცხლის მედალი გაიყვეს ფირებმა „სწრაფად, სწრაფად, უფრო სწრაფად" (კიევის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდია) და „მიზანი" („ცენტრნაუჩფილმი").

კიდევ ერთი მედალი — ოქროსი — კიეველებს ხვდათ სასწავლო ფილმისთვის „ფეხბურთის ტექნიკა". ცნობილი მულტფილმი „აბა, დამაცადე!" (მეოთხე სპორტული გამოშვება) ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პარტიზანთა სახელობის პარკის სტუმრები




თბილისის პარტიზანთა სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის დირექციისა და დედაქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობის თაოსნობით ლისის ტბის მიდამოებში ხშირად ეწყობა სპორტული ღონისძიებანი, მასობრივი სეირნობა. გასულ კვირასაც ასე იყო. ამჯერად 62-ე საშუალო სკოლის კოლექტივი აქ ატარებდა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმს, რომლის პროგრამაში შედიოდა ტურისტული ლაშქრობა, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, შეხვედრები ფრენბურთში, კალათბურთში...

ზეიმი ტურისტული ლაშქრობით დაიწყო. სკოლის 560-მდე მოსწავლე ტბისკენ ფეხით გაემართა. ლაშქრობაში პედაგოგებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, რამაც მოსწავლეებს ინტერესი გაუღვივა.

პარკის სპორტულ ბაზებზე ნორმატივებს აბარებდნენ ღერძზე მიზიდვასა და 60 მეტრზე რბენაში.

ღერძზე მიზიდვაში თავი გამოიჩინეს ი. ნადიბაიძემ, ზ. მხეიძემ, თ. ყიასაშვილმა, დ. ლაშქარაშვილმა, ხოლო რბენაში — ი. ზაუტაშვილმა, პ. ქაჯაიამ, ბ. გელენიძემ, პ. შანშიაშვილმა და ლ. საჯაიამ. მათ ნორმატივები ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნებზე ჩააბარეს.

მერე ფიზკულტურელებმა საწყლოსნო ველოსიპედებით ისეირნეს, ნაოსნობაში სცადეს ძალა...

**ლ. აბაშიძე.**

* * *

**სურათებზე:** ჭაბუკები აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს სირბილში; ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



# იცით თუ არა კლასიკური ჭიდაობა?

3-5 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება სსრ კავშირის თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. მაყურებლებისა და ჭიდაობის მოყვარულთა დაინტერესების მიზნით ცხადდება სპორტის მცოდნეთა კონკურსი-ვიქტორინა, რომლის პირობებიც ასეთია:

კონკურს-ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველებმა პასუხები (ავტორის ვინაობის, თანამდებობისა და მისამართის ზუსტი მინიშნებით) უნდა ჩააბარონ სპორტის სასახლის წითელ კუთხეში 3 ან 4 ნოემბერს, 22 საათამდე.

კონკურსის ჟიური, რომელსაც სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე ხელმძღვანელობს, 5 ნოემბერს შეაჯამებს შედეგებს. პირველ სამ ადგილზე გასულნი დაჯილდოვდებიან საქართველოს სპორტკავშირის, „სპორტლოტოს" რესპუბლიკური სამმართველოსა და თბილისის სპორტის სასახლის პრიზებით.

მაშ ასე, გთავაზობთ კონკურს-ვიქტორინის შეკითხვებს:

1. დაასახელეთ მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ათივე ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში (ზუსტი პასუხისთვის — 1 ქულა).
2. ჩამოთვალეთ ჩვენი რესპუბლიკის კლასიკური სტილის მოჭიდავეები, რომლებიც სხვადასხვა დროს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ. მიუთითეთ სად, როდის და რამდენჯერ მოიპოვეს მათ ეს საპატიო ტიტულები (2 ქულა).
3. დაასახელეთ საქართველოს არბიტრები, რომელთაც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება აქვთ (3 ქულა).
4. სსრ კავშირის თასის გათამაშებაში რომელი გუნდი მოიპოვებს მთავარ პრიზს? (4 ქულა).
5. დაასახელეთ გუნდები, რომლებიც ამ ტურნირში I-V ადგილებს დაიკავებენ (5 ქულა).

# სსრ კავშირის პირველობა

## ფეხბურთი

## ბუჟუნ...

*რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" დუბლიორები. „გაიმარჯვეს" დინამოელებმა — 3:2. ბურთები გაიტანეს: თბილისელთაგან — რეხვიაშვილმა (2) და კუტივაძემ, მოსკოველთაგან — ეგოროვიჩმა (2).*

## „ფახთაქორი" და დონეცკის „შახტიორი" — უმაღლეს ლიგაში

31 ოქტომბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები, რომელთა შედეგები ასეთია: „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 3:0, „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) — „დინამო" (ლენინგრადი) 0:0, „შახტიორი" (დონეცკი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 3:1, „ალგა" (ფრუნზე) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 5:1, „პამირი" (დუშანბე) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 1:0, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „კრივბასი" (კრივოი როგი) 1:2, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 4:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 2:0.

ამრიგად, დარჩენილი შეხვედრების შედეგების მიუხედავად, ტაშკენტის „ფახთაქორი" და დონეცკის „შახტიორი" გაისად უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „კოლხეთი" (ხობი) 2:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მიუხედავად გადაუღებელი წვიმისა, მატჩი საინტერესო გამოდგა — ორივე გუნდმა მთელი მონდომებით იბრძოლა. ქობულეთელი პოლტაჩიდის მიერ 25-ე წუთზე გატანილი გოლი მეორე ნახევრის დასაწყისში გაქვითა გვასალიამ. შემდგომში ფომინმა კვლავ დააწინაურა „შუქურა", მაგრამ იმავე გვასალიამ მეორედ აღადგინა თანაფარდობა.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ქობულეთელი თ. მჟავანაძე. ეს მისი მეორე გაფრთხილებაა წლეულს.

● ასკ (თბილისი) — „კოლმეურნე" (წულუკიძე) 1:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

გოლი გაიტანა კვარაცხელიამ.

● „ისანი" (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:2. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

ისნელები დაწინაურდნენ უკვე მე-5 წუთზე (მანუჩაროვი). გოლი გაქვითა თოდიძემ, შემდეგ კი ჭელიძემ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა „ისნის" კარში.

● „სამცხე" (აწყური) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:4. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

რკინიგზელებმა შესანიშნავად ჩაატარეს ეს პრინციპული მატჩი. ისინი განუწყვეტლივ უტევდნენ მეტოქის კარს. ანგარიში გახსნა კოხრეიძემ, შემდეგ დვალიშვილმა მეორედ აიღო მასპინძელთა კარი.

მეორე ტაიმის დასაწყისში „სამცხის" კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა „ლოკომოტივის" მეკარე კაპანაძემ, ხოლო 70-ე წუთზე მანჯგალაძემ მეოთხედ აიღო აწყურელთა კარი.

უკვე მაშინ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, მარტინენკომ შეძლო ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

● „გიგანტი" (ლაითური) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:0. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

● „ივერია" (ხაშური) — „კახეთი" (თელავი) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ხაშურელი მოთამაშეების კობერიძისა და ოსაძის ორ გოლს თელაველებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (მაისურაძე). ამას გარდა, თელაველმა ტიკურაშვილმა პენალტი ვერ გამოიყენა.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია თელაველი რ. ცირეკიძე.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 3:0. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

ლოკომოტიველებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ბურთები გაიტანეს მონასელიძემ, გიგილაშვილმა და ლამბაროვმა.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია გ. ლამბაროვი.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „დინამო" (ზუგდიდი) 3:2. მსაჯი ე. ჩიბჩიაური (თბილისი).

უწესო საქციელისთვის გაფრთხილება მიეცა ზუგდიდელ ფ. ტაბაღუას.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ორივე ბურთი გაიტანა ქილიფთარმა.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 0:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლმეურნე" (წულუკიძე) 4:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● „კოლმეურნე" (წულუკიძე) — „კახეთი" (თელავი) 4:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

გაფრთხილება მიეცათ წულუკიძელ თ. მელაძეს და თელაველ რ. ცირეკიძეს. ეს ცირეკიძის მეორე გაფრთხილებაა წლეულს.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„შევარდენი" (თბილისი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 1:0, „არაგვი" (დუშეთი) — „კოლმეურნე" (ტიბაანი) 2:2, „გარისი" (თეთრი წყარო) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:2, „შევარდენი" (თბილისი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 0:5, „გარისი" (თეთრი წყარო) — „ვარძია" (ასპინძა) 1:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:2, „მევენახე" (ბოლნისი) — „ვაზი" (შრომა, გურჯაანის რაიონი) 1:2, „შირაქი" (წითელი წყარო) — „მევენახე" (ვაზისუბანი) 0:0.

#### II ზონა

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „განთიადი" (აბაშა) 4:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — „კომეტა" (ფოთი) 4:1, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 1:0, „განახლება" (ადიგენი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 7:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:0, „მაღაროელი" (ჭიათურა) — „დინამო" (ქუთაისი) 3:2, „სქური" (წალენჯიხა) — „იმერეთი" (თერჯოლა) 2:5, „დიოსკურია" (სოხუმი) — „მზიური" (გალი) 3:1.

### ზონალური შეჯიბრება

„რუბეროიდი" (გარდაბანი) — კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველო" (ოჩამჩირე) 4:1, „ყინწვისი" (ქარელი) — „ფეიქარი" (ქუთაისი) 1:0, კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველო" (ოჩამჩირე) — „ყინწვისი" (ქარელი) 0:1, „ლიახვი" (გორის რაიონი) — „რუბეროიდი" (გარდაბანი) 2:1, „ავტომობილისტი" (ჩაქვი) — ერედვის საბჭოთა მეურნეობა (ცხინვალი) 6:1.

## I ლიგა

# საიმედო ახალგაზრდობა მოდის

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 31 ოქტომბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 2:0 (2:0).

„ტორპედო": გრძელიშვილი, მაზიაშვილი, მირონოვი, ფრიდმანი, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ქვირია, პოლაძე (გაბიჩვაძე), ფესტვენიძე, შელია (ლევიძე), ჯ. სილაგაძე.

„შინიკი": ჩურკინი, დოსტიგაევი, ნ. სმირნოვი, ნაუმოვი, ხანინი, ზოდიკოვი (ა. სმირნოვი), გავრილოვი (მირონოვი), ნაპრეევი, სტენიშევი, რეინგოლდი, კოროტკოვი.

მსაჯი ა. ბალაიანი (ბაქო).

დუბლიორები — 2:2.

როგორც ქუთაისელ, ისე იაროსლაველ ფეხბურთელებს ამ მატჩისთვის უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსი აღარ ჰქონდათ, მაგრამ ორივე გუნდი ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელია და იბრძოლეს მთელი მონდომებით, ენერგიულად, რის გამოც მატჩი სანახაობრივად ერთობ საინტერესო გამოდგა.

ტორპედოელებმა გაიმარჯვეს. ეს ფაქტი თავისთავად სასიხარულოა, მაგრამ განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ვიხილეთ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებსაც საიმედო პირი უჩანთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთი ფეხბურთელებიდან, როგორიც არიან ქვირია, ფესტვენიძე, შელია და ზოგიერთი სხვა, მაღალი კლასის ოსტატები გაიზრდებიან.

მასპინძლებმა ძლიერი იერიშებით დაიწყეს თამაში და არსებითად უკვე დასაწყისშივე მოათავეს საქმე. რამდენიმე სწრაფი, კარგად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ სილაგაძემ მე-7 წუთზე გახსნა ანგარიში, ხოლო ორიოდე წუთის შემდეგ შელია — ფესტვენიძის კომბინაცია „შინიკის" კარში გატანილი მეორე გოლით დამთავრდა.

მატჩი ფაქტიურად მოგებული იყო. და მაინც, ორივე მხარე ბოლომდე აქტიურად თამაშობდა. ქუთაისელებს ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა და „შინიკის" კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, თუმცა შედეგი არც ერთს არ მოჰყოლია.

**შ. ნიჟარაძე.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## ვეტერანის პრიზზე

„ა" კლასის II ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება დამთავრდა. ახლა ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივებმა განაახლეს შეჯიბრება სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასზე.

ამ დღეებში შედგა სამი მატჩი და სამივე მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა: რუსთავის „მეტალურგმა" დაამარცხა სოხუმის „დინამო" (2:1), ბათუმის „დინამომ" — მახარაძის „მერცხალი" (2:1) და ლანჩხუთის „გურიამ" — გორის „დილა" (3:2).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალ." | 7 | 4 | 3 | 0 | 10—4 | 11 |
| „გურია" | 7 | 3 | 3 | 1 | 9—8 | 9 |
| „მერცხალი" | 7 | 1 | 5 | 1 | 4—4 | 7 |
| „კოლხეთი" | 6 | 2 | 2 | 2 | 5—5 | 6 |
| „დინ." (ბათ.) | 7 | 2 | 2 | 3 | 4—6 | 6 |
| „დილა" | 7 | 1 | 3 | 3 | 4—6 | 5 |
| „დინ." (სოხ.) | 7 | 0 | 4 | 3 | 2—5 | 4 |

# იუბილე აღნიშნეს

გასულ შაბათს ხაშურის საზოგადოებრიობამ ადგილობრივი ფეხბურთის 50 წლისთავი აღნიშნა.

რკინიგზის კულტურის სახლში საზეიმო საღამო გახსნა ხაშურის კომკავშირის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ხვედელიძემ. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. მოსეშვილმა გააკეთა მოხსენება ხაშურში ფეხბურთის ჩასახვისა და განვითარების შესახებ.

მოგონებებით გამოვიდნენ სპორტის ვეტერანები ა. რატია, ვ. ნიქოვანი, ს. კვანჭახაძე, შ. აბასაშვილი.

ხაშურის სტადიონზე გაიმართა ორი თაობის ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი, რომელიც დამთავრდა ფრედ — 2:2. ბურთები გაიტანეს შ. აბასაშვილმა (2), ზ. შანიძემ და დ. კაენიკაძემ.

**ო. გოლაძე.**

(ჩვენი სპეც. კორ.).

ხაშური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას ვაძლევთ და რას მოვითხოვთ

## ოლიმპიური ჩემპიონები ფეხბურთის შესახებ

ფეხბურთი. ძნელია დაასახელო სპორტის უფრო პოპულარული სახეობა. ფეხბურთელები საყოველთაოდ ცნობილი არიან, მათ ყველგან საუცხოო პირობებს უქმნიან წვრთნისთვისაც და თამაშისთვისაც. მათ ბევრს ვაძლევთ, მაგრამ სამაგიეროდ საკმარისს ვთხოვთ?

საფეხბურთო მატჩებს მილიონები უყურებენ, განიცდიან ფეხბურთელთა თამაშს. ფეხბურთის ბედზე გული შეტკივათ მაყურებელთა შორის მსხდომ სპორტსმენებსაც, რომელთაც სახელი გაითქვეს ტანვარჯიშსა და მძლეოსნობაში, ნიჩბოსნობასა და კრივში, ფარიკაობასა და წყალბურთში, ჭიდაობაში, ძალოსნობასა და სხვა სახეობებში.

რას იტყვიან ფეხბურთზე ეს სპორტსმენები? საქდესის სპორტულმა რედაქციამ აზრის გამოთქმა სთხოვა 1972 წლის ოლიმპიური თამაშების გმირებს.

### ვალენტინ მანკინი,

ოლიმპიური ჩემპიონი აფროსნობაში

— ჩვენს შორის იშვიათია სპორტსმენი, რომელიც თავისი სახეობის სიყვარულს ფეხბურთსაც არ უნაწილებდეს. შესანიშნავი თამაშია, ბრწყინვალე სანახაობა. ნამდვილი, ლამაზი ფეხბურთი ადამიანს სიხარულს ჰგვრის და, ჩემის ღრმა რწმენით, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. რაოდენ საწყენია, როცა ჩვენს მინდვრებზე უფერული, დუნე, მოსაწყენი მატჩების მოძალებას ვხედავთ, სადაც კარგი თამაშის იშვიათი გამობრწყინებაც კი უკვალოდ იკარგება. ბევრჯერ დავფიქრებულვარ ჩვენი ფეხბურთის გაჭიანურებული კრიზისის მიზეზებზე. ჩემის აზრით, მეტისმეტად გავანებივრეთ ჩვენი რჩეულები: პრინციპული მომთხოვნელობისა და სასურველი ობიექტურობის მაგიერ, ყველა მათს თუნდაც უმნიშვნელო წარმატებას ზარზეიმით ვხვდებით, ხოლო, თუ წააგეს, მყისვე გვინდა რაღაცნაირად გავამართლოთ. სწორედ ეს არის სათავე ბევრი ჩვენი ფეხბურთელის დაარხეინებისა, საბრძოლო თვისებების მოდუნებისა, სიზარმაცისა.

დეტალურად არ ვიცი, როგორ და რამდენ ხანს ვარჯიშობენ ფეხბურთელები კლუბებსა და ნაკრებში, მაგრამ, თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ვარჯიში ინტენსიური და საკმარისი არ გვეჩვენება.

ერთგულება მშობლიური ქალაქისა და კოლექტივისადმი. ფეხბურთელებში ამ გრძნობის გაღვივებას, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. დარწმუნებული ვარ, რომ მდგომარეობის შეცვლას და სასურველ შედეგს მოგვცემს მხოლოდ სპორტსმენის ხანგრძლივი, სერიოზული წვრთნა ერთ გუნდში წლების მანძილზე, უახლესი მეთოდიკით შეიარაღებული, გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობ ი თ. მხოლოდ მაშინ, როცა ყოველი მატჩი მკაცრი და საპასუხისმგებლო გამოცდა იქნება თითოეული მოთამაშისთვის, ფეხბურთს დაუბრუნდება მაღალი ოსტატობა, რომელთან შეხვედრაც მუდამ დღესასწაულია.

### ტატიანა სამუსენკო,

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ფარიკაობაში, მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონი (გუნდთან ერთად)

— ბევრ ფეხბურთელს კარგად ვიცნობ. მიუნხენში ჩვენ კიდევ უფრო დავმეგობრდით. ხანდახან „ვუკარნახებდი" კიდეც, უკეთ როგორ უნდა ეთამაშათ. მაგრამ მათმა თამაშმა, როგორც იცით, მაინც ვერ გაგვახარა.

ვერ წარმომიდგენია, რომ ზოგიერთი ფეხბურთელივით ვინმეს დარიგება და ძალდატანება დამჭირდეს მთელი ძალით წვრთნისა და შეჯიბრებებში ასევე თავგამოდებით ბრძოლისთვის.

ბოლო ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი გუნდი თავიდან აგებდა ფინალურ მატჩს უნგრეთის ნაკრებთან. ბილიკზე მე უნდა გავსულიყავი. მეტოქე იყო ცნობილი რაპირისტი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ილდიკო რეიტო. სხვა დროს მასთან მუდამ ვაგებდი, ახლა კი გავიმარჯვე. მაგრამ ამ ორთაბრძოლას იმდენი ძალა დასჭირდა, რომ კარგა ხნის შემდეგაც, საპატიო კვარცხლბეკზე რომ ვიდექით, თვალთ მიბნელდებოდა. ფეხბურთელებს კი ვუყურებ ზოგჯერ და მიკვირს მათი აპათიურობა. იგრძნობა, რომ მათთვის სულ ერთია მატჩის შედეგი. როგორც კი გოლს გაიტანენ, იმსხლა ცდილობენ, რომ ანგარიში შეინარჩუნონ, თუმცა ბრძოლა საჭიროა ბოლომდე, ღირსეულად.

ვერ ვიტან გუნდიდან გუნდში სირბილს. აგერ უკვე ოცი წელია „დინამოში" ვარ. ბევრჯერ მიმიღია მიწვევა სხვა საზოგადოებებიდან, ბევრჯერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლაც შემოუთავაზებიათ, მაგრამ ჩემი მეგობრებისთვის, მწვრთნელებისთვის, ჩემი ქალაქისთვის არ მიღალატნია. ზოგიერთ ფეხბურთელს კი ჩირადაც არ უღირს თავისი კოლექტივისა და ამხანაგების მიტოვება, გუნდიდან გუნდში ხეტიალი. ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, რომ ასეთ მერყევ ხალხსაც კი ყველგან ბრწყინვალე პირობებს უქმნიან. დარწმუნებული ვარ, ასე განებივრებულნი რომ არ იყვნენ, უფრო სერიოზულად მოეკიდებოდნენ საქმეს.

ფეხბურთელებო, ხომ ხედავთ რა ყურადღებას გაქცევენ. მიიღებთ თუ არა კრიტიკას?

### ირინა როდნინა,

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში, საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონი

— ფეხბურთთან მე, თუ შეიძლება ითქვას, სატელევიზიო ნაცნობობა მაკავშირებს: სტადიონზე არ დავდივარ. ფეხბურთი არ მიყვარს. ან რატომ უნდა მიყვარდეს? ისე თამაშობენ, ცქერა მოგწყინდება.

წლეულს „ბედმა გამიღიმა" — მთლიანად ვნახე ტელეეკრანზე ჩვენი ნაკრების ორი მატჩი გფრ-ის გუნდთან: მიუნჰენის ოლიმპიური სტადიონის გახსნისას და ევროპის ჩემპიონატის ფინალში, ბრიუსელში. ვუყურებდი და გულზე ვსკდებოდი. მრცხვენოდა ამ ჯანიანი, მხემოკიდებული ბიჭების მაგიერ, მინდორზე პრანჭია გოგოებივით რომ ჩანდნენ. მათ მთელი 180 წუთი რაღაც საოცრად უზრუნველად, არ მეშინია ამ სიტყვისა, საოცრად უპასუხისმგებლოდ გაატარეს, თავიც შეირცხვინეს და ჩვენი ფეხბურთის ღირსებაც შელახეს...

უნებურად დაფიქრდები: რატომ ხდება, რომ, მაგალითად, კალათბურთში, ტანვარჯიშში, ჩემს საყვარელ ფიგურულ ციგურაობაში და სპორტის ბევრ სახეობაში წინ მივდივართ, მწვერვალებს ვიპყრობთ, ფეხბურთელები კი ერთ ადგილს ტკეპნიან?

ავიღოთ მორიგი წაგება მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში პოლონეთის ნაკრებთან. ანგარიში ჩვენებმა გახსნეს, მაგრამ მერე წააგეს მეტოქესთან, რომელიც უფრო ძლიერი აღმოჩნდა არა ტექნიკითა და ტაქტიკით, არამედ სულით. შემთხვევით მოხდა ეს? ალბათ არა: გამარჯვებისკენ სწრაფვა, მეტოქისთვის შენი სურვილის თავს მოხვევა, ჩემის აზრით, ერთი ძალიან პროზაული საქმის შედეგია — საწვრთნელ მეცადინეობებზე და შეჯიბრების დროს გულმოდგინე, თავდადებული შრომისა. რა თქმა უნდა, ფიგურული ციგურაობა და ფეხბურთი ძალიან შორს დგანან ერთმანეთისგან, მაგრამ პარალელის გავლება მაინც შეიძლება. ყოველდღიური წვრთნით ახლა ვერავის გააკვირვებ, მაგრამ შეიძლება და საჭიროც არის მეცადინეობა ინტენსიური, მრავალფეროვანი იყოს...· ასე გვწვრთნის, მაგალითად, სტანისლავ ჟუკი. ფეხბურთელთა ზოგიერთ გუნდში კი ალბათ სხვაგვარად ფიქრობენ: ცოტა ხანს ირბენენ, ერთი-ორჯერ გაათამაშებენ ბურთს, და მორჩა.

ახლა მინდორზე? როგორც კი ცოტა შეეშლება ხელი რომელიმე ფეხბურთელს, მყისვე ფარ-ხმალს დაყრის, აღარც გაზონი ეჩვენება გაზონად, აღარც ბურთი ბურთად, მსაჯიც, მისი აზრით, მარტო ერთ მხარეს უდგება. მაპატიეთ, მაგრამ ისევ მინდა ერთი პარალელი გავავლო: სპორტსმენები არც ერთ სახეობაში არ არიან იმდენად დამოკიდებული მსაჯზე, რამდენადაც ფიგურულ ციგურაობაში. დიახ, მე და ალექსეი ულანოვს პირველივე მარცხის შემდეგ ცხვირი რომ ჩამოგვეშვა, ვერასოდეს ვეღირსებოდით ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობას. მაგრამ არა, ჩვენ მთელი ძალა მოვიკრიბეთ, თავს არ ვზოგავდით, დღე და ღამეს ვასწორებდით, რათა უფრო უკეთ გამოვსულიყავით სარბიელზე. ასეა ფეხბურთშიც: თუ ძლიერი ხარ, თუ არ გეშინია, წარმატებას წინ არაფერი დაუდგება.

რატომ მიაჩნდათ ყოველი თამაში ყველაზე პასუხსაგებად და მნიშვნელოვნად ფეხბურთის სახელგანთქმულ ვეტერანებს ფედოტოვს, ტროფიმოვს, ნეტოს, იაშინს? რატომ არ ფიქრობს ასე ბევრი ჩვენი დღევანდელი ფეხბურთელი? იქნებ იმიტომ, რომ კერპებად დავსახეთ და მათმა მხრებმა დიდების ტვირთს ვერ გაუძლო? რატომღაც წესად დადგინდა: როგორც კი ერთ-ორ გოლს გაიტანს ვინმე, მყისვე მეფის გვირგვინს დაადგამენ. მეფეს უკვე აღარ აინტერესებს, რომელ გუნდში თამაშობს, ვინ ასწავლა ფეხბურთის ანბანი. ახალგაზრდა ნიჭიერი კაცის ცხოვრებაში ახალი ხანა დგება — ეძებს, სად უფრო მეტს გადაუხდიან, სად უფრო მზიან და ნათელ ბინას დაახვედრებენ. რაც მთავარია, „დასაფრენ მოედანს" ამ ახალგაზრდა ნიჭიერ კაცს მარტო ერთ ქალაქში და მარტო ერთ გუნდში როდი უმზადებენ: მისთვის ყველა კარი ღიაა. აბა რაღა საჭიროა ასეთ დროს პატრიოტიზმზე, მშობლიური კლუბისა და ამხანაგების სიყვარულზე ლაპარაკი. დასჯიან და რა ვუყოთ მერე, კეთილის მსურველები აქ არ არიან? ისინი გადაუსვამენ თავზე ხელს.

ერთი სიტყვით, ჩვენი ფეხბურთელების ცუდ თამაშს ძალიან ბევრი მიზეზი აქვს. მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს, ხომ სწორია? სხვათა შორის, მადრიდში „სპარტაკმა" გვიჩვენა, რომ ჩვენც შეგვიძლია კარგი, ვაჟკაცური ფეხბურთის თამაში.

### ანატოლი როშჩინი,

მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ოლიმპიადის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში

— ფეხბურთელთა საწვრთნელი პროცესის წვრილმანებს ვერ ჩავწვდები, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ, „კლასიკოსი" მოჭიდავეები, საწვრთნელ მეცადინეობებზე მათზე გაცილებით მეტად ვართ დატვირთული. მარტო ერთ საათს ვარჯიშით მოჭიდავეს თითქმის კილონახევარი აკლდება წონაში. ახლა მზადების პერიოდში? საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის დღეში რამდენიმე საათს ვვარჯიშობთ.

ყოველ სპორტსმენს, სულ ერთია, ფეხბურთელი იქნება, მორბენალი, მოკრივე თუ ველოსიპედისტი, რაღაც საკუთარი ძირითადი ხერხი უნდა ჰქონდეს. მაგრამ ამ ერთ ხერხზე დაყრდნობა არ შეიძლება. არ შეიძლება, მაგალითად, ურტყა სულ მარჯვენა ფეხით. ჩვენთვის, მოჭიდავეებისთვის, არ კმარა მარტო იდეალურად დახვეწილი მოქმედება. ჭიდილის დროს მე ხუთი-ექვსი „მატყუარა" ილეთი უნდა ჩავატარო, ისევე დახვეწილი და გულმოდგინედ დამუშავებული, როგორც ყველა ძირითადი ხერხი. ეს ყველაფერი შეუპოვარი წვრთნით მოიპოვება.

მაგრამ დიდ სპორტში მარტო შრომისმოყვარეობა არ კმარა. საჭიროა გქონდეს შენი ყოველი შეხვედრისთვის, მაყურებლის წინაშე გამოსვლისთვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

მოჭიდავეებს ერთი დაუწერელი კანონი გვაქვს: ყველაზე მტკიცე ნებისყოფის სპორტსმენი ნაკრები გუნდის ყველაზე უდავო კანდიდატია. ზოგჯერ ორთაბრძოლის ბედი ბოლო წამებში წყდება. ჩვენი კალათბურთელები ავიღოთ. მიუნჰენში მათ თითქმის უიმედო მდგომარეობაში გამოჰგლიჯეს ხელიდან გამარჯვება ამერიკელებს. სამაგიეროდ, როგორ ატკინეს გული თავიანთ ქომაგებს საბჭოთა ფეხბურთელებმა, მაგალითად, მესამე ადგილისთვის მატჩში! მაშინ ბრინჯაოს ჯილდო უკვე უზრუნველყოფილი ჰქონდათ გამარჯვებულებსაც და დამარცხებულებსაც, მაგრამ მაინც საჭირო იყო კარგად თამაში პრესტიჟის სახელით, საბჭოთა დროშის ღირსების სახელით.

### ალექსანდრე დოლგუშინი,

ოლიმპიადის ჩემპიონი წყალბურთში

— წყალბურთში ფეხბურთიდან მოვედი. ჩვენი ეზოს გუნდი მეზობელი სახლის ნაკრებს ხვდებოდა. თამაში რომ გახურდა, ძალიან ზუსტად დავარტყი წყალბურთელთა ცნობილი მწვრთნელის შუბინის სახლის ფანჯარაში. მწვრთნელმა დასჯის მაგიერ ბავშვთა სპორტულ სკოლაში წამიყვანა და თავის ჯგუფში ჩამრიცხა.

ფეხბურთის სიყვარული კი დღემდე არ გამნელებია. სამწუხაროდ, ჩვენი კერპები ამ ბოლო ხანს გულს უფრო გვტკენენ, ვიდრე გვახარებენ. გაიხსენეთ, მაგალითად, ამასწინანდელი მატჩი საფრანგეთის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. ისე ცუდად თამაშობდნენ, რომ ვერ მოვითმინე და ტელევიზორი გამოვრთე.

გამაოცა იმან, რაც ზამთარში წახკაძორში ვნახე. იქ ემზადებოდა სეზონისთვის ერევნის „არარატი", რომელიც ამჟამად სატურნირო ცხრილის პირველ ნახევარშია. მეცადინეობა ტარდებოდა. ფეხბურთელები გულგრილად ასრულებდნენ საერთო ფიზიკური მზადების ვარჯიშებს, შარშანდელი სეზონის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა ედუარდ მარქაროვმა კი მხოლოდ ორჯერ შემოურბინა სტადიონს და მეცადინეობა დაამთავრა. ალბათ ამიტომ აღარ ბრწყინავს იგი ჩვეული ოსტატობით.

წყალბურთში ნახევარმცველის ფუნქციას ვასრულებ. ფეხბურთში ამ ადგილზე ჩემი იდეალი იყო ტორპედოელი ვალერი ვორონინი, რომლისთვისაც არავითარი საიდუმლო არ არსებობდა არც ტექნიკურ ილეთებში, არც ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტაში. სამწუხაროდ, ამ ნიჭიერ ფეხბურთელს, ისევე როგორც ბევრ სხვას, „ვარსკვლავური სენი" შეეყარა. იგი ბევრს აღარ სთხოვდა თავის თავს და მალე გადაუხვია სპორტული გზიდან.

ცნობილია, რომ ფეხბურთელები რეჟიმს არღვევენ. წყალბურთელებს ისეთივე „რეგლამენტი" გვაქვს კალენდარული მატჩებისა და საერთაშორისო შეხვედრებისა — მარტიდან დეკემბრამდე, მაგრამ რეჟიმის დარღვევა ჩვენთვის წარმოუდგენელია და დაუშვებელი. მაგალითად, მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების შემდეგ ჩემს კლუბს დაძაბული მატჩები ელოდა ქვეყნის ჩემპიონატში, სადაც ოქროს მედლების რეალური პრეტენდენტები ვიყავით. განა ჩვენი გუნდის წევრი ექვსი ოლიმპიური ჩემპიონიდან ვინმე მისცემდა თავს რეჟიმის დარღვევის უფლებას? განა შეიძლება თანაგუნდელებს უღალატო?

### გივი ახვლედიანი,

სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდის — ოლიმპიური ჩემპიონის მწვრთნელი

— მსოფლიოს ფეხბურთელთა მოწინავე გუნდების ოსტატობის დონე იმდენად მაღალია, რომ არსებული სტანდარტებიდან მცირედი ჩამორჩენაც კი, ვთქვათ, ტექნიკაში, საერთაშორისო შეჯიბრებებში დიდი წარმატების ყოველგვარ იმედს სპობს. ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობა (უმაღლესი ლიგის გუნდების წევრებიც კი), ჩემის აზრით, ტექნიკური მომზადებით ვერ გაუტოლდება საუკეთესო უცხოელ მოთამაშეებს. თუ ჩვენში „ა" კლასის მხოლოდ ზოგიერთი სპორტსმენის ოსტატობა დგას დღევანდელი დიდი ფეხბურთის დონეზე, სხვა ქვეყნების მთავარი გუნდები თითქმის მთლიანად ამ რანგის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.

ვის უფრო შეუძლია აითვისოს ტექნიკური ილეთების ყველა ნიუანსი? როგორც ჩემი ოცდახუთი წლის გამოცდილება მიჩვენებს, ეს შეუძლია არა მხოლოდ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ სპორტსმენს, არამედ იმას, ვისაც საწვრთნელ მეცადინეობებზე დაუღალავი შრომის, დამოუკიდებელი სრულყოფისთვის ზრუნვის, დასახული მიზნისკენ სწრაფვის უნარი შესწევს. ეს გახლავთ მტკიცე ხასიათის, ძლიერი ნებისყოფის ხალხი, რომელსაც შეუძლია ყველა ინტერესი არჩეული სახეობის ინტერესებს დაუმორჩილოს. არც ნებისყოფა და არც ხასიათი თანდაყოლილი თვისება არ არის. ეს თვისებები სპორტსმენს თანდათან გამოუმუშავდება, დიდ შრომაში იჭედება. ვისაც ბევრი და შეუპოვარი მუშაობა შეუძლია, ვისაც შეუძლია სული და სხეული ჯიუტად ამზადოს ბრძოლისთვის, ის თამაშის დროსაც მებრძოლია, მატჩის დაძაბულ მომენტებში თავდაჭერის უნარს არ კარგავს.

ფრენბურთში, კალათბურთში და სპორტის სხვა გუნდურ სახეობებში, სადაც ძირითად შემადგენლობაში ხუთი-ექვსი კაცია, შეთამაშებისა და ურთიერთმოქმედების რთული პრობლემა, რა თქმა უნდა, უფრო იოლად წყდება, ვიდრე ფეხბურთში. ჩემის აზრით, ეს პრობლემა სსრ კავშირის ფეხბურთელთა დღევანდელ ნაკრებში ძალიან მწვავედ დგას. ჩვენი გუნდის შემადგენლობა დაუსრულებლად და, პირველ ყოვლისა, მწვრთნელთა შემადგენლობის ცვლის მიხედვით იცვლება.

დიდი სპორტი, ისევე როგორც დღევანდელი მეცნიერება, მწვრთნელებისგან დიდ სიზუსტეს, დაძაბულ გონებრივ მუშაობას და შთაგონებას მოითხოვს. მწვრთნელი კი, რომელიც იძულებულია ლოთებთან, დისციპლინის დამრღვევებთან და ზარმაცებთან ბრძოლის პრობლემა გადაწყვიტოს, უკვე ვეღარ შეძლებს მთლიანად ფეხბურთს შესწიროს თავი. სპორტი საუკეთესო გზაა მოზარდი თაობის აღზრდისა, მაგრამ ოსტატთა გუნდების და, მით უმეტეს, ქვეყნის ნაკრების წინაშე ეს ამოცანა არ უნდა იდგეს. ოსტატთა გუნდებში არ უნდა თამაშობდეს სპორტსმენი, რომელმაც კოლექტივში თავის დაჭერა არ იცის, რომელსაც თავისი საქმისადმი პატიოსნური დამოკიდებულება ჯერ არ უსწავლია.

დისციპლინის განმტკიცებას სხვა გუნდებშიც ამდენი დრო რომ სჭირდებოდეს, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები მიუნჰენში ორმოცდაათ ოქროს მედალს ვერასგზით ვერ მოიპოვებდა...

კიდევ ერთი: არც ერთი სახეობის წარმომადგენლებს არ ჰყავთ ამდენი გულშემატკივარი, გუნდებისა და ცალკეულ მოთამაშეთა „მეგობარი", რომელთაც მუდამ იციან როგორ დაეხმარონ ფეხბურთელს რჩევა-დარიგებით მწვრთნელის ზურგს უკან. მათი სურვილია მფარველობა გაუწიონ „ამომავალ ვარსკვლავებს", ამ „ვარსკვლავებს" კი ასეთი მზრუნველობა აფუჭებს. არადა, ჩვენს ფეხბურთს დღეს პირველი კლასის, მტკიცე ნებისყოფის და მტკიცე დისციპლინის სპორტსმენები სჭირდება.

### ვიტალი დავიდოვი,

ჰოკეისტი, მსოფლიოსა და ოლიმპიადების მრავალგზის ჩემპიონი

— რაღა საკითხავია, რომ ბევრ ჰოკეისტს ფეხბურთი ძალიან უყვარს და თვითონაც მშვენივრად შეუძლია ტყავის ბურთით თამაში. ხანდახან, როცა ჩვენი ფეხბურთელების მარცხი ძალიან გვატკენს გულს, ჰოკეისტები ვპპირებთ მატჩში გამოვიწვიოთ ისინი. იქნებ ბიჭები ჩვენთან წაგებამ მაინც გამოაფხიზლოს? იყო დრო, ფეხბურთელები ირონიულად გვეტყოდნენ ხოლმე: „ნეტავ რა დიდად მოგაქვთ თავი, ვის უგებთ? ვიღაც მოყვარულებს, ჩვენ კი საუკეთესო პროფესიონალებთან გვიწევს ბრძოლა". მაგრამ ახლა, სექტემბერში, საბჭოთა ჰოკეისტებმა მატჩების სერია გამართეს უძლიერეს კანადელ პროფესიონალებთან. როგორც ცნობილია, ამ შეხვედრებმა გააქარწყლა ლეგენდა „ნეკერჩხლის ფოთლების" უძლეველობაზე. ჩვენმა გუნდმა ბევრ მატჩში წარმატებით ითამაშა. ახლა რაღას იტყვით, ამხანაგო ფეხბურთელებო?

ჩემი კოლეგები სამართლიანად ამბობენ, რომ ფეხბურთელებმა მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ და გააძლიერონ წვრთნა. დარწმუნებული ვარ, ეს მათ ხელს შეუწყობს ოსტატობის დონის სწრაფად და შესამჩნევად ამაღლებაში. ხომ შეუძლიათ თამაში? შეუძლიათ. გაიხსენეთ სამი მოგება 25 ოქტომბერს ევროპის საკლუბო გუნდების ოფიციალურ ტურნირებში. კიევის დინამოელებმა შინ დაამარცხეს პოლონეთის ჩემპიონი „გურნიკი", სადაც თამაშობდნენ ლიუბანსკი და მიუნჰენის ოლიმპიადის სხვა ჩემპიონები, მოსკოვის „სპარტაკმა" მადრიდში ოთხი გოლი გაიტანა „ატლეტიკოს" კარში, ერევნის „არარატმა" ციურიხში დაამარცხა „გრასჰოპერსი" — 3:1. დაბეჯითებით ვამბობ: ეს არის საბუთი მომავალი წარმატებებისა, ოღონდ ასეთი საბუთი მეტი უნდა გვქონდეს. მათ მილიონობით გულშემატკივარი ელის.

მაშასადამე, ფეხბურთელებს აკრიტიკებენ. კრიტიკა უსიამოვნოა, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. და იგი მით უფრო სასარგებლოა, რომ კეთილი სურვილით არის ნაკარნახევი: ჩვენ გვინდა ფეხბურთი იყოს ჭეშმარიტად მილიონთა თამაში, რომლის მიმართაც საბჭოთა სახელმწიფო დიდ მზრუნველობას იჩენს, იყოს ლამაზი, ათლეტური, მიმზიდველი და მაღალი დონის სპორტი.

შემთხვევითი არ არის, რომ ყველა ჩემპიონი, რომელსაც საქდესის კორესპონდენტებმა შეკითხვით მიმართეს, საუბარს მაინც იმედის სიტყვებით ამთავრებდა. მათ იმედი აქვთ, რომ საბჭოთა ფეხბურთი მოუვლის დღევანდელ სენს და სხვა მოწინავე სახეობათა შორის დაიკავებს ადგილს.

„წარმატებას გისურვებთ!" — ამბობენ ჩემპიონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურავლიოვის მეორე ოქროს მედალი

სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა ჩემპიონატის ბოლო ტურში ბრძოლა განსაკუთრებით მძაფრი იყო. გადამწყვეტი შეხვედრების წინ შეჯიბრების ცხრილს სათავეში ჩაუდგა ერთბაშად სამი მონაწილე — ჟურავლიოვი, კლოვანი და ცინი. ამ სამეულს სულ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა პოდგაეცი, ერთი ქულით — ადამსკი.

ლიდერებიდან წარმატებას პირველმა კლოვანმა მიაღწია. იგი თეთრებით თანმიმდევრულად ეთამაშებოდა პრანდშტეტერს, პაიკიც მოიგო, მაგრამ ძლიერ ცაიტნოტში მოხვდა. ამ დროს პრანდშტეტერმა, რომელსაც დროის დიდი მარაგი ჰქონდა, ხარისხი დაკარგა და იქვე დანებდა.

ცინი თეთრებით ძალიან მალე აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში იზვოზჩიკოვთან. თბილისელი ოსტატი შესანიშნავად თამაშობდა, ფიგურაც მოიგო, მაგრამ მერე მწვავე ცაიტნოტში მოხვდა. მიუხედავად ამისა, იზვოზჩიკოვმა არა მარტო შეინარჩუნა, არამედ გააძლიერა კიდეც თავისი უპირატესობა. ცინმა ორი ეტლი დაკარგა და დანებდა.

ახლა ოქროს მედლის ბედი ჟურავლიოვისა და ბოლო ადგილზე მყოფი პოსტლერის შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. ჟურავლიოვმა იერიშის გასაძლიერებლად პაიკი შესწირა, მაგრამ გერმანელმა ოსტატმა პაიკი უკანვე დააბრუნა, უშუალო მუქარა მოიგერია და ინიციატივა ხელთ იგდო. ამ დროს ძლიერ ორმხრივ ცაიტნოტში პოსტლერმა დაკარგა ჯერ ერთი, მერე მეორე პაიკი. პარტია რომ გადაიდო, ჟურავლიოვს აშკარა უპირატესობა ჰქონდა, რაც შემდეგ კარგად გამოიყენა და თანაქალაქელ კლოვანს დაეწია.

ძლიერ ცაიტნოტში დამთავრდა პოდგაეცისა და ადამსკის შეხვედრაც. პოდგაეცმა მოასწრო მეტოქის თითქმის მთელი არმიის განადგურება და საჭირო ქულა მოიპოვა.

უბილავამ ლოკასტოს იერიში მოიგერია, პაიკი მოიგო და გადადებული პარტიის დამთავრებისას გაიმარჯვა. ლიბერზონმა მოუგო ნოვაკს. უშეღავათო ბრძოლა გააჩაღეს უნგრელმა ოსტატებმაც — ოჟვატმა და ვადასმა, მაგრამ ბოლოს ყაიმზე შეთანხმდნენ.

მაშ ასე, ტურნირში გაიმარჯვა ორმა რიგელმა ოსტატმა — ვ. ჟურავლიოვმა და ი. კლოვანმა. მათ 9-9 ქულა დააგროვეს 13 შესაძლებლიდან. კოეფიციენტთა ცხრილით, I ადგილი ჟურავლიოვს მიეკუთვნა, რომელმაც წლეულს ეს უკვე მეორე ოქროს მედალი მოიპოვა: ამ რამდენიმე თვის წინ ბათუმში იგი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონი გახდა. ვერცხლის მედალი გუშინ, ჩემპიონატის დახურვის დროს, კლოვანს გადაეცა, ბრინჯაოსი კი ოდესელ საერთაშორისო ოსტატ მ. პოდგაეცს.

უცხოელ მოჭადრაკეთაგან საუკეთესო შედეგი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა ლ. ცინმა (გდრ) — 8 ქულა. მას IV ადგილი ხვდა.

შემდეგი ოთხი ადგილი გაიყვეს დიდოსტატმა ვ. ლიბერზონმა (მოსკოვი), ოსტატებმა ე. უბილავამ (თბილისი), ი. ადამსკიმ (პოლონეთი) და ლ. ვადასმა (უნგრეთი). მათ 7-7 ქულა დააგროვეს.

ლიბერზონმა მთელი ტურნირი რაღაც დუნედ ჩაატარა. უბილავამ სტარტი წარუმატებლად აიღო — პირველ ოთხ ტურში მხოლოდ ერთი ქულა ხვდა, მაგრამ მერე, დანარჩენ ხუთ ტურში, ოთხი გამარჯვება მოიპოვა და ერთი პარტია ყაიმით დაამთავრა. მას ოქროს მედლისთვის ბრძოლის შანსიც კი გაუჩნდა, მაგრამ ბოლო ორი პარტია (კლოვანთან და ლიბერზონთან) სუსტად ჩაატარა, წააგო და პრიზიორთა რიცხვში ვეღარ მოხვდა.

6,5 ქულა დააგროვა უნგრელმა ოსტატმა ა. ოჟვატმა — ყველაზე უფროსმა მონაწილეთა შორის. 5,5-5,5 ქულა აქვთ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს — ოსტატ ე. ნოვაკს და ოსტატობის კანდიდატ ე. პრანდშტეტერს. თბილისელმა ოსტატმა ა. იზვოზჩიკოვმა 5 ქულა მოაგროვა. ოსტატობის კანდიდატ ა. ლოკასტოს (პოლონეთი) 4 ქულა აქვს, ოსტატ რ. პოსტლერს (გდრ) — 2.

გუშინ ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა. შეჯიბრების მონაწილეებს სპეციალური პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ა. ბუსლაევი,
სპორტის ოსტატი.





# „ფრანს ფუტბოლის" კონკურსის ლაურეატები

ფრანგული ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი", როგორც ცნობილია, ყოველწლიურად ატარებს კონკურსს ევროპის ეროვნული ჩემპიონატების ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელების დასასახელებლად. მთავარ პრიზს „ოქროს ბუცი" ეწოდება. შარშან, მაგალითად, ამ კონკურსში გაიმარჯვეს საფრანგეთის გუნდების მოთამაშეებმა, თუმცა ისინი წარმოშობით ფრანგები არ არიან: „ოქროს ბუცი" მიიღო მარსელის „ოლიმპიკში" მოთამაშე იუგოსლაველმა ი. სკობლარმა, ხოლო „ვერცხლის ბუცი" — „სენტ-ეტიენის" თავდამსხმელმა, მალიელმა ს. კეიტამ.

წლეულს „ოქროს ბუცის" მფლობელი გახდა მიუნხენის „ბაიერნისა" და გფრ-ის ნაკრების მთავარი ბომბარდირი გ. მიულერი, ხოლო „ვერცხლის ბუცი" დაისაკუთრა ათენის „პანათინაიკოსის" თავდამსხმელმა ანტონიადისმა.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ს. კეიტა და ი. სკობლარი, მარჯვნივ — გ. მიულერი და ანტონიადისი.

ფრანს პრესისა და კაფ — იუპი-ს ფოტოები.

## საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობით

სამმა ეკიპაჟმა პირველად გაიარა ტურისტული მარშრუტი ტაიგის მდინარე კემაზე გასაბერი ტივებითა და ბაიდარებით. ექსპედიცია ტურიზმისა და ექსკურსიების სამხარეო საბჭომ მოაწყო. მას ხელმძღვანელობდა საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი ა. ლეშჩენკო. ექსპედიციაში საქართველოს სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

სანამ მდინარეს დაადგებოდნენ, ტურისტებმა 200 კილომეტრზე მეტი ფეხით გაიარეს უსურიის ტაიგაში. ძლივს მიიკვლევდნენ გზას რუკითა და კომპასით, გეოლოგების მიერ დატოვებული სანიშნეებით.

დღემდე ასკილომეტრიანი ბობოქარი მდინარე კემას დაძლევის ყველა ცდა მარცხით მთავრდებოდა, ამჯერად კი გამოცდილმა სპორტსმენებმა დაიმორჩილეს იგი. ექსპედიციამ მთლიანად შეასრულა პროგრამა. მამაცმა სპორტსმენებმა 230-ზე მეტი დაბრკოლება გადალახეს.

ექსპედიციის მიერ მოგროვილი მასალები ახალ ლაშქრობათა მონაწილეებს დიდად დაეხმარება.

ვლადივოსტოკი.

• •

## მშდ ხალხის სამსახურში

ნოვაია კახოვკაში მოეწყო რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც უკრაინის მშრომელთა შორის ჯანმრთელობის კომპლექსის დანერგვის საკითხზე იმსჯელა.

აღინიშნა, რომ მშდ კომპლექსის რესპუბლიკური და საოლქო საბჭოები საყოველთაო-სახალხო სპორტული პროგრამის აქტიურ მეგზურებად იქცა. კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში დიდი თაოსნობა გამოიჩინეს ლვოვის ოლქში. კარგად მუშაობენ მშდ კომპლექსის ზაპოროჟიეს საოლქო საბჭო, რომლის თავმჯდომარეც ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ჟაბოტინსკია, ოდესის საოლქო საბჭო ორგზის საბჭოთა კავშირის გმირ ს. არტემენკოს თავმჯდომარეობით, სევასტოპოლისა და სხვა საბჭოები.

თათბირზე გამოსულები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ახალი კომპლექსის სასიცოცხლო ძალა მის პოპულარიზაციასა და ყოველდღიურ დაუღალავ პროპაგანდაშია. მშდ კომპლექსის ნორმატივების ყოველი ჩაბარება ფიზკულტურის კოლექტივებში საზეიმო ვითარებაში უნდა მოეწყოს. რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ნოვაია კახოვკის ფიზკულტურელთა მიწვევით მონაწილეობა მიიღეს ტრადიციულ „ჯანმრთელობის დღეში", იყვნენ ქალაქის სპორტულ ბაზებზე, სადაც მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარება მოეწყო. მასპინძლები გულთბილად შეხვდნენ თავიანთი კუთხის შვილს, ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. ბორზოვს. ოლიმპიადის გმირს ქალაქის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ნოვაია კახოვკა.

# ტურისტთა არმიისთვის

სოხუმი, 1 ნოემბერი (საქინფორმის კორ.). აქ გაიხსნა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია საექსკურსიო საქმის პრობლემებზე, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. კონფერენციის მუშაობაში ქვეყნის ბევრი სხვადასხვა ქალაქის სპეციალისტები მონაწილეობენ.

საექსკურსიო ორგანიზაციების წინაშე ბევრი რთული პრობლემა დგას. აი, რა თქვა ამ პრობლემებზე საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური ლაბორატორიის გამგემ, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, სოხუმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ფაჩულიამ:

— საექსკურსიო საქმეს საბჭოთა კავშირში დიდი და მდიდარი ისტორია აქვს, მაგრამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მან დღეს მიიღო, როცა სახალხო-სამეურნეო გეგმის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად ნაწილად იქცა. 1975 წელს, მაგალითად, განზრახულია 36 მილიონი ტურისტისა და 120 მილიონი ექსკურსანტის მომსახურება. დაგეგმილი ზრდის ტემპებზე თუნდაც იმის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ 1971 ტურისტულმა ბაზამ 12,6 მილიონ კაცს უმასპინძლა, ხოლო ექსკურსიებში 55 მილიონი ადამიანი წავიდა. ახლა უკვე ქვეყნის 330 ქალაქშია შექმნილი მოგზაურობათა და ექსკურსიის ბიუროები, როცა ამ ცოტა ხნის წინ მათი რიცხვი სულ 71 იყო.

აუცილებელია, რომ ისტორიული და კულტურის ძეგლების შემდგომი შესწავლა ტურისტულ-საექსკურსიო მარშრუტების განვითარებას დაემთხვეს. პირველ ყოვლისა უნდა შევისწავლოთ ამ მარშრუტში შემავალი ძეგლები, მუზეუმები, გამოფენები, ზოგიერთი ნაგებობა დროებით ტურისტთა დასასვენებელ პუნქტებად და სასტუმროებად უნდა გამოვიყენოთ. ისეთ შენობებში, რომლებიც არქიტექტურული და მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებით ძვირფასია, უნდა მოეწყოს თემატური გამოფენები. დიდ ქალაქებსა და ტურისტულ ცენტრებში სასახლეები, ციხე-სიმაგრეები თეატრალიზებული წარმოდგენების, ფესტივალების, კონცერტების მოსაწყობად გამოდგება. ჯვარის, რიგის, პეტრეს სასახლის, კაუნასის, ვილნიუსის გამოცდილება, სადაც ამგვარი ღონისძიებები მხოლოდ უცხოელებისთვის ტარდება, საბჭოთა ტურისტებზეც უნდა გავავრცელოთ.

ექსკურსიებმა მარტო წარსული კი არა, დღევანდელი დღეც უნდა გაგვაცნოს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა ჩვენება.

ტურიზმის განვითარების ცალკეული კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის დროს აუცილებელია თეორიული პრობლემების დამუშავებაც. საჭიროა თამამად გამოვიყენოთ წლების მანძილზე დაგროვილი მდიდარი თეორიული გამოცდილება.

---

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

---

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ ადგილზე:**

სამბო — ძიუდოს მასწავლებელი — 1 ერთეული.

კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

**ინსტიტუტის რექტორატი.**

---

**„ლოკომოტივის" სტადიონი**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




დღეს

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)

ძირითადი შემადგენლობანი

მატჩის დასაწყისი 19 ს.

ბილეთების გაყიდვა — სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04690